

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №16

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N 65

13.12.2022 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: გელა ვარდოსანიძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-ლუიზა ჯოგლიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- ლუბა გოგოძე.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: გელა ჩიკვაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ნოემბრის Nგ-65.65223143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის რეგისტრაციის თაობაზე;

4. სხვადასხვა

5. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის რიგითი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2022 წლის 13 დეკემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა, ნოემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 7 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ნოემბრის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 675 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2022 წლის 14 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 10 ნოემბრის Nგ-65.65223143 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოხდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ზემოთხსენებულ კომისიაში ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს წევრ ნატო დვალს ჩაანაცვლებს ამავე ფრაქციის წევრი ლიზა ტყეშელაშვილი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ განმარტა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30<sup>2</sup> მუხლის თამნახმად , საკრებულოს უმცირესობის სიას რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო და წარმოადგინა უმცირესობის სია.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

მომზადდა ბრძანების პროექტი,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის რეგისტრაციის თაობაზე.(დანართი N2)

„სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ქი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 14 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ს.



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე